## *მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება*

---

1. *პროგრამა გათვლილია მოქალაქეებზე(ოჯახებზე) , რომლებიც ვერ ფინანსდებიან სხვა ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამებით და აქვთ მძიმე ყოფითი პრობლემები, რომელიც დადასტურებულია ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამავე ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობით.* ***პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ ფულადი დახმარების გაცემას 100-დან 200 ლარამდე ოდენობით*** *ადმინისტრაციული ერთეულებისათვის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული აქტით დადგენილი თვიური ლიმიტის ფარგლებში.*
2. *შესაბამის დოკუმენტაციას ყოველთვიურად მერის წარმომადგენლები განსახილველად წარადგენენ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვისა და ადმინისტრირების სოციალურ კომისია“-ზე (შემდგომში „სოციალურ კომისია)“.*
3. *იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ ბენეფიციარზე გასაცემი ერთჯერადი დახმარების ოდენობა არარის შესაბამისი, ის დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს ბენეფიციარისთვის ფულადი დახმარების თაობაზე. მერი ინდივიდუალურად განსაზღვრავს ბენეფიციარზე ფულადი დახმარების ოდენობას 200- დან 1000- ლარამდე ფარგლებში. (აღნიშნული მიმართულებით თანხების წლიური ოდენობა განისაზღვრება პროგრამის ბიუჯეტის 15%-ის ფარგლებში).*
4. *გასაცემი თანხის ოდენობას და დახმარების გაწევაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი „სოციალური კომისია“.*
5. *დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით განმცხადებლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.*